პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
5 სექტემბერი
1941 წ.
№ 210 (6215)
ფასი 15 კაპ.

ფაშისტ-გერმანელი არამზადები

ადამიანები საუკუნეობით აწარმოებდნენ ომებს და მოძალადეთა თავდასხმელი არმიების მიერ ჩადენილი ძრავალი საშინელი ბოროტმოქმედების მოწმენი ყოფილან. მაგრამ ყველა ეს ბოროტმოქმედება, რაც ადამიანებმა მრავალი ასეული წლის განმავლობაში განიცადეს, იჩრდილება ველური მხეცების—ჰიტლერელი დამნაშავეების, ფაშისტ-გერმანელი არამზადების სისხლიანი „მოღვაწეობის“ წინაშე.

ჰიტლერელი ქვეწარმავლების გაცოფებული და სისხლით მთვრალი ურდოები საშინელ ბოროტმოქმედებებს სჩადიან მათ მიერ დაპყრობილ რაიონებში. არის ასობით ფაქტები, როცა პირსისხლიანი ფაშისტი ძაღლები ულტდნენ უდანაშაულო ქალებსა და ბავშვებს, მოხუცებსა და ავადმყოფებს, დაჭრილ და ტყვე წითელარმიელებს. პირსისხლიანი მოძალადე ჰიტლერელები თავიანთ გზაზე სწვავენ ქალაქებსა და სოფლებს, ულტენ ჩვენ ხალხს. ხელთ იგდებენ რა მოსახლეობას, ისინი მათრახით პირუტყვივით მიერეკებიან მას უმძიმეს საკატორღო სამუშაოებზე. ფაშისტი მტარვალები ძალადობას ხმარობენ ჩვენს დედებსა, დებსა და ცოლებზე და ჯარისკაცთა სამეძაო სახლებში მიერეკებიან მათ. თავიანთი „ფიურერის“—ამ პირსისხლიანი ძაღლის გასართობად ისინი ტყვიამფრქვევებით ხვრეტენ მშვიდობიან მოქალაქეებს, სძირავენ საჰოსპიტლო გემებს, რომლებსაც ავადმყოფები და დაჭრილები მიჰყავთ, ყუმბარებს უშენენ სანიტარულ მატარებლებს, ტყვიებით ცხრილავენ ჰოსპიტლებსა და სანიტარულ თვითმფრინავებს.

და გაუგონარ ბოროტმოქმედებებს ზედიზედ სცვლიან ახალი, კიდევ უფრო გაუგონარი და არაადამიანური ბოროტმოქმედებანი.

1941 წლის 28 აგვისტოს მდინარე იპუტის გადმოსვლისას გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, რომელნიც უძლურნი აღმოჩნდნენ დაეძლიათ წითელი არმიის ნაწილების მამაცური, შედგარი წინააღმდეგობა, თავი მოუყარეს ქალაქ დობრუშის ადგილობრივ მოსახლეობას და დახვრეტის მუქარით წინ გაირეკეს ქალები, ბავშვები და მოხუცები და საბრძოლო წესების დაფარვით შეტევაზე გადმოვიდნენ.

გამხეცებული და ადამიანობის ნახედაკარგული ჰიტლერელი მტარვალები პირველად როდი იქცევიან ასე. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში ჯერ კიდევ 30 ივლისს მოყვანილი იყო შემდეგი ფაქტი: ლენინგრადის ოლქში, საბჭოთა მეურნეობა „ვიბორის“ რაიონში შემოტევის დროს ფაშისტმა მტარვალებმა, რათა, რადაც უნდა დამჯდარიყო, შეენარჩუნებინათ თავიანთი ტყავი, ბავშვებიანი ქალები აიძულეს შეტევაზე გადმოსული გერმანელთა ნაწილების წინ ევლოთ.

ეს ავაცური ფაქტები კიდევ და კიდევ ააშკარავებენ საძაგელი ძტრის მხეცურ სახეს. მისმა სისასტიკემ, სიმხეცემ საზღვარი არ იცის. ასეთი დანაშაულობანი კაცობრიობას ჯერ კიდევ არ უნახავს. ასეთ საშინელ ბოროტმოქმედებათ კაცობრიობის ისტორია არ მოსწრებია.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ფაშისტი ქოფაკებისა და ჯალათების ამ დანაშაულობებს.

ფაშისტი არამზადებისათვის არ არსებობს ომის წარმოების არავითარი წესები, არავითარი ადამიანური კანონები. ყოველივე ამას ფეხქვეშ სთელავენ ფაშისტი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ქურქში გახვეული მხეცები. დაე, ეს მხეცები ნუ იწუწუნებენ, თუ საბჭოთა ადამიანები მათ სისხლის წილ სისხლით გაუსწორდებიან.

თვალი თვალისა წილ, სისხლი სისხლისა წილ, სიკვდილი სიკვდილისა წილ!

ჰიტლერელ კაცთმოძულეთა სისხლიანი დანაშაულობანი საბჭოთა ადამიანების გულში წარმოშობს დაუცხრომელ სიძულვილს მტრისადმი, მოგვიწოდებს სამაგიეროს გადახდისაკენ, აწრთობს ჩვენს ნებისყოფას — ვიბრძოლოთ მანამდე, სანამ ჯალეტილნი არ იქნებიან ჰიტლერელები — ადამიანთა სახით მოვლენილი ეს საშინელებანი.

ჩვენ ვუცხადებთ გერმანელ-ფაშისტ კაციჭამიებსა და არამზადებს — ძვირად დაგიჯდებათ ჩვენი დედების, დებისა და ბავშვების სიცოცხლე და ცრემლი! მთელი საბჭოთა ხალხი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ნაწამები საბჭოთა მოქალაქეების სისხლით ფიცსა სდებს—ოდნავაც არ დაინდოს სისხლმოწყურებული ჰიტლერელი ბანდიტები.

სიკვდილი სიკვდილისა წილ! სისხლი სისხლისა წილ!

„პრავდის“ მოწინავე, 4/IX.

ლენინის ქალაქი სისხლსავსე, კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს

ლენინგრადი, 3 სექტემბერი (საკდესი). ღამ-ღამობით პროჟექტორთა სხივით ისერება ბნელი ცა, გაისმის საზენიტო ქვემეხთა ყრუ გრიალი. მიდიმოდიან პატრულები, მიმოჰქრიან საბარგო მანქანები, რომელთა ფარნები ჩამქრალია, ძლივს ბჟუტავენ ქუჩის მოძრაობის მარეგულირებელთა წითელ-მწვანე პაწია ფარნები.

მაგრამ ახლაც ლენინგრადი — მეცნიერების ქალაქი, ხელოვნების ქალაქი — სისხლსავსე, კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს.

დაძაბულად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები იმ პრობლემებზე, რომლებიც განამტკიცებენ სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას. მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრება როდი წყდება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკურ ინსტიტუტში ამზადებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაგზავნად სხვადასხვა მცენარეების თესლის ნიმუშებს. სრულიად საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდივანი პროფესორი კალესნიკი ხელს აწერს დასაბეჭდათ მეცნიერულ ჩანაწერთა მორიგი ნომრის კორექტურას; ეს ნომერი მიძღვნილია კასპიის ზღვასა და არქტიკაში წარმოებული ახალი გეოგრაფიული კვლევაძიებისადმი კლიმატოლოგიაში, ეთნოგრაფიაში და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყო. მეცადინეობის პირველ დღეს აკადემიკოსმა მეშჩანინოვმა წაიკითხა ლექცია „ახალი რამ ენის მოძღვრების შესახებ“, მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პიქსანოვმა — ლექცია რუსული ლიტერატურის ისტორიაზე.

ამ დღეებში წარმოდგენით „პირისპირ“ დაიწყო ზამთრის სეზონი ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში.

პარტიის ქალაქკომის აგიტპუნქტის დიდ დარბაზში ასობით ადამიანი ისმენს აკადემიკოს დერჟავინის მოხსენებას: „ფაშიზმი სლავობის უბოროტესი მტერია“. აქვე შესდგა ლენინგრადის ხალხური ლაშქრის თეატრალური აგიტოცეულის შემოქმედებითი საღამო. ლენინგრადის ხალხური ლაშქრის მებრძოლების მიერ შექმნილი თეატრი ანგარიშს აბარებს თავისი ქალაქის მშრომელთ. ვიბორგის კულტურის სახლში თავდაცვის ჯგუფთა ქიმიური რგოლების მებრძოლებმა მოისმინეს ლექცია საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებათაგან ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის შესახებ. კინოთეატრები საუსა ხალხით. ლენინგრადელები ახალ სამდარბაზიან თეატრ „მოსკოვში“ მოელვარებით უყურებენ სამამულო ომის ფრონტების კინორეპორტაჟის მორიგ გამოშვებას. ასობით ადამიანმა ნახა გამოფენა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ“, რომელიც წითელი არმიის სახლმა გახსნა.

დაღამდა. ქუჩები დაცარიელდა. დაგვიანებული ტრამვაის ვაგონები პარკში ბრუნდებიან და ყრუდ რეკენ ზარს. შესაკრებ პუნქტთან ეწყობა ზურგზე ტომარა და ჩანთამოკიდებულ ადამიანთა რიგები — ქალაქის მშრომელნი თავდაცვითს სამუშაოზე მიემართებიან.

ამხ. მ. ი. კალინინის საპასუხო დეპეშები კანადის მცხოვრებლებისადმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის სახელზე კანადიდან რამდენიმე დეპეშა მოვიდა, რომლებითაც მიესალმებიან საბჭოთა ხალხს. ამ დღეებში ამხ. მ. ი. კალინინმა შემდეგი საპასუხო დეპეშები გაგზავნა:

„ვანკუვერი, საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმომჩენი ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ **ჯონ გოსს.**

სსრ კავშირის ხალხთა სახელით და პირადად ჩემი სახელით თქვენი სახით გულითად მადლობას ვუძღვნი სსრ კავშირისათვის დახმარების აღმომჩენ ანტიფაშისტურ კომიტეტსა და მიტინგის მონაწილე ვანკუვერელ მოქალაქეთ, რომელნიც ენერგიულ დახმარებას უწევენ ფაშისტურ აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა კავშირს“.

* * *

„კალგერი. ალბერტის შტატი, მიტინგის თავმჯდომარეს ბ-ნ **ჯონ სტოკალიუკს.**

გულითად მადლობას ვუძღვნი კალგერის მიტინგის მონაწილეთ სოლიდარობის გულწრფელი გრძნობისათვის გმირი წითელი არმიისადმი, რომელიც იბრძვის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად“.

* * *

„მონრეალი. მიტინგის თავმჯდომარეს ბ-ნ **ჯონ კერის.**

სულითა და გულით ვუძღვნი მადლობას მიტინგის მონაწილეთ სოლიდარობის გრძნობისათვის საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც ებრძვის ფაშიზმს თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“. (საკდესი).

მისალმებანი საბჭოთა ხალხისადმი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მოლოტოვის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ასამის პროვინციის სტუდენტთა ფედერაცია მიესალმება საბჭოთა ხალხს და წითელ არმიას, რომელიც მამაცურად იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ. წითელი არმიის ბრწყინვალე წინააღმდეგობა განამტკიცებს რწმენას, რომ ხალხები გაიმარჯვებენ ფაშიზმზე.

მდივანი **მადანბარპუჯარი**“.

ქალაქი გაუჰატი, ასამის პროვინცია, ინდოეთი.

ოკლენდის (ახალი ზელანდია) შოფერთა კავშირისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა.

„ოკლენდის შოფერთა კავშირი საბჭოთა კავშირის ხალხებს უცხადებს, რომ იგი უყოყმანოდ უჭერს მხარს მათს ბრძოლას მთელი კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ და რწმენას გამოსთქვამს, რომ ომი ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ სწრაფად და წარმატებით დამთავრდება.

ლოურენსი, ჯერერდი, მეტიუსი“.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის გემ „პროვიდანსის“ ეკიპაჟის გადასვლა დე გოლის მხარეზე

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის გემ „პროვიდანსის“ ეკიპაჟის 120 წევრმა ნავსაყუდელი გასცურა და დე გოლის ჯარს შეუერთდა. ეს გემი საფრანგეთის სხვა გემებთან ერთად მივიდა ბეირუთში ვიშის მთავრობის ჯარისკაცთა რეპატრიაციისათვის. გემ „პროვიდანსის“ ეკიპაჟი ტულონის მახლობლად მდებარე სპეციალური ბანაკიდან წამოყვანილი პირებისაგან შესდგებოდა. ამ ბანაკში მყოფი ჯარისკაცები დღემდე პეტენის ერთგულად და ვიშის მთავრობის თავგამოდებულ მომხრეებად ითვლებოდნენ. როგორც გამოირკვა, 120 გაქცეულთაგან ნამდვილად არც ერთი არა ყოფილა მეზღვაური.

მდინარე მერსეის რაიონის საუბრიკო მამასახლისთა მისალმება საბჭოთა მეღვინეობისადმი

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკდესი). ლიგერპულში შესდგა მდინარე მერსეის რაიონის საწარმოთა საფაბრიკო მამასახლისების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 184 დელეგატი—23 ტრედუნიონის წევრები. რომელნიც 48 სამხედრო ქარხანაში მუშაობენ. კონფერენციამ დაადგინა მიიღოს და საბჭოთა კავშირში გადაჰგზავნოს შემდეგი რეზოლუცია:

„მანქანათმშენებლობისა და სხვა მონათესავე პროფესიათა საფაბრიკო მამასახლისების ეს კონფერენცია მიესალმება საბჭოთა კავშირის მეღვინეობ მუშებს და აღტაცებას გამოსთქვამს მათ წინაშე. კონფერენციაზე შეკრებილი საფაბრიკო მამასახლისები ვალდებულებას კისრულობენ გამოიყენონ მთელი თავიანთი გავლენა და მთელი ენერგია მოახმარონ სომარი მასალის წარმოების გადიდებას, რათა ინგლისელმა ხალხმა სსრ კავშირის ხალხებთან ერთად შესძლოს ჰიტლერელთა დამარცხება“.

რეიჯერის საბაგენჯო ავიაციის დუნაკლისის შესახებ 2 ნლის განმავლობაში

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ორი წლის ომის განმავლობაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიის ცეცხლმა მოწინააღმდეგის სულ ცოტა 4.500 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ინგლისის ავიაციამ დაჭარგა 1.400 გამანადგურებელი, ამასთან 450-ზე მეტი თვითმფრინავის მფრინავები გადარჩენილი არიან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 სექტემბრის დილის ცნობა

3 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მტერთან ბრძოლებს მთელს ფრონტზე.

* * *

დასავლეთის ფრონტის მესანგრეთა ერთერთი ქვედანაყოფის უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. ცეპლიაევმა დანაღმა მდინარე ნ-ს ხიდი. მალე ხიდს მტრის მოტოკოლონა მოადგა. ამხ. ცეპლიაევმა ხიდზე 5 ტანკი და რამდენიმე მოტოციკლი გამოუშვა, შემდეგ კი ხიდი ააფეთქა. მტრის ერთი ტანკი და 2 მოტოციკლისტი ხიდთან ერთად აფეთქდა. ამხ. გოროდეცკის ქვედანაყოფმა მოსპო გერმანელთა 5 ტანკი და 13 მოტოციკლისტი, რომლებმაც გადმოსვლა მოასწრეს. ამავე ღღეს ამხ. ცეპლიაევმა უმცროს სერჟანტ სმირნოვთან ერთად კიდევ ერთი ხიდი დანაღმა და ააფეთქა მას შემდეგ, რაც ჩვენს ნაპირზე ფაშისტთა 15 ტანკი გადმოვიდა. თავისი ქვეითი ჯარის ნაწილს მოწყვეტილი ფაშისტთა ტანკები მოსპობილ იქნა.

* * *

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში შავი ზღვის ფლოტის ავიაციის ყუმბარმშენებმა მტერთან ბრძოლების დროს მოსპეს გერმანელთა 50-ზე მეტი ტანკი და ავტომანქანა, 4 თვითმფრინავი „მესერშმიტი“ და ფაშისტთა დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მფრინავების—უფროს ლეიტენანტ ლობოზოვისა და ლეიტენანტ მაკაროვის ეკიპაჟებმა.

შავი ზღვის ფლოტის ნ. პოლკის საზღვაო ქვეითი ნაწილის ბატალიონმა ერთი დღის განმავლობაში მოსპო მტრის 4 ტანკი და ტყვედ წამოიყვანა რუმინელთა კავალერიის ესკადრონი.

* * *

ორი ჩვენი ქვედანაყოფის ფლანგებს შუა შემომძვრალი გერმანელთა დიდი ჯგუფი შეეცადა ღამით გარსშემორტყმოდა კაპიტან მოროზოვის ბატალიონის შტაბს. შტაბის განკარგულებაში მყოფმა მებრძოლებმა და მეთაურებმა გაბედულად მიიტანეს იერიში ფაშისტებზე. გერმანელებმა იერიშს ვერ გაუძლეს, ბევრი მათგანი ტყვედ დაგვნებდა, დანარჩენები კი გაიქცნენ. მტერმა ბრძოლის ველზე რამდენიმე ათეული მოკლული და დაჭრილი დასტოვა. ნადავლში არის: 5 ხელტყვიამფრქვევი, 2 ავტომატი, ათობით შაშხანა და რადიოსადგური.

* * *

უფროსი ლეიტენანტი ლენსკი მებრძოლთა ჯგუფითურთ მტრის ზურგში შეიპარა. საბჭოთა მზვერავებმა მოსპეს მტრის 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და 40-მდე ფაშისტი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ლიუბნიცის სოფლის საბჭოს სოფელ გორკის თავს დაესხა ფაშისტთა 7 ყუმბარმშენი. ქუჩაში კოლმეურნეთა ბავშვები თამაშობდნენ. გერმანელთა ყუმბარმშენებმა დაბლა ფრენით ტყვიამფრქვევი დაუშინეს ბავშვებს. როცა სახლებიდან ბავშვების სახსნელად დედები გამოვიდნენ, ფაშისტმა მფრინავებმა პიკირებული ფრენით იწყეს ყუმბარის ჩამოყრა. მოკლულია 6 ბავშვი და 8 ქალი, მძიმედ დაჭრილია 8 ბავშვი.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულებით მტრის ზურგში ამხ. ორეხოვის მეთაურობით მომქმედი პარტიზანული რაზმის მებრძოლები რამდენიმე დღის განმავლობაში ამჩნევდნენ, რომ სოფელ პოდვორიცის ტყეში დიდ მინდორზე ყოველდღე ეშვებოდნენ ძირს გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავები. ნაშუალამევს მზვერავები ტევრში შეიპარნენ და ოსტატურად მიიმალნენ. დილით მათ დაინახეს, თუ როგორ დაეშვა მინდორზე ფაშისტთა თვითმფრინავი. თვითმფრინავთან მაშინვე მივიდა ავტოცისტერნი, რომელშიც ჩასხეს მოტანილი ბენზინი. დღის განმავლობაში კიდევ რამდენიმე თვითმფრინავი დაეშვა და ბენზინი მოიტანა. დალამებისას მზვერავები თავიანთ რაზმში დაბრუნდნენ და მეთაურს მოახსენეს. რაც ნახეს. 2 დღის შემდეგ პარტიზანთა რაზმი მიეპარა ამ აეროდრომს. პარტიზანებმა ხელყუმბარები და საწვავით სავსე ბოთლები დაუშინეს მინდორში მდგომ ერთ თვითმფრინავს და ტყის პირას მდგომ ავტოცისტერნებსა და მცირე მიწისქვეშა ბენზინსაცავს. თვითმფრინავი და საავიაციო ბენზინის მთელი მარაგი მოსპობილ იქნა. პარტიზანებთან სროლის დროს გერმანელებს მოუკლეს და დაუჭრეს 28 კაცი.

* * *

ვიტებსკის ოლქის სოფელ პერევოლოჩნაიასთან პარტიზანები გაბედულად დაესხნენ თავს ცხენების დიდ აღალს, რომელიც სურსათით იყო დატვირთული. პარტიზანებმა ჩახერგეს ის გზა, რომლითაც გერმანელთა აღალი მიდიოდა, და სროლა აუტეხეს საზიდრებს. დამფრთხალი ცხენები საზიდრების მტვრევით ტყეს მიაწყდნენ. პარტიზანებმა ხელთ იგდეს კონსერვებით სავსე მრავალი ყუთი, 3 ხელტყვიამფრქვევი და 5 ავტომატი.

ლენინგრადის ოლქის სადგურ ტოროსოვინოსთან ამხ. ნ-ს პარტიზანულმა რაზმმა დაამტვრია ჯავშნიანი დრეზინი, რომლითაც გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი პსკოვს მიდიოდა. მოკლულია 5 ოფიცერი და 4 ჯარისკაცი. თავს დაესხნენ ავგრეთვე ფაშისტთა ცხენოსან რაზმს, რომელიც კატასტროფის ადგილას მივიდა, 7 ცხენოსნიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა. ამავე ღღეს [illegible] კრასნიეესთან თავს დაესხა მტრის ავტომანქანებს. მოსპობილია ვაზნებით სავსე 7 სატვირთო მანქანა და ტანკებისათვის განკუთვნილი საწვავით სავსე ერთი ავტოცისტერნი.

* * *

კიევის მშრომელნი გმირული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას ფაშისტთა ურდოების განადგურებაში. კიევის ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში მთლიანად და გადაჭარბებით ვადამდე ასრულებენ ფრონტის დაკვეთებს. მამაცურად დგანან თავიანთ პოსტებზე პატრიოტი რკინიგზელები. უკრაინის დედაქალაქის მახლობლად მდებარე სადგურ დ-ს თავს დაესხნენ ფაშისტთა თვითმფრინავები. სადგურის უფროსმა ამხ. დრემაჩევმა. სადგურის მორიგემ ამხ. კონიაევმა, სიგნალისტმა ამხ. ფილიპენკომ თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს და საწვავით სავსე მატარებელი სწრაფად გაიყვანეს გადასარბენზე. შემდგენლებმა ამხ. ტაროვმა და რასკალეიმ ერთმანეთს დააშორეს სადგურზე მყოფი ეშელონები. ტვირთი გადარჩენილ იქნა. თავდადებით მუშაობენ კიეველი მეცნიერნი. უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა წარმოადგინეს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისაკენ მიმართული მთელი რიგი ძვირფასი წინადადებანი. კლინიკური ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები აქტიურად ეხმარებიან ჰოსპიტლებს. კიევი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ქალაქში მუშაობის შემდეგ მშრომელნი სამხედრო საქმეს სწავლობენ.

4 სექტემბრის საღამოს ცნობა

4 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ანგარიმობდნენ ბრძოლებს მტერთან მთელს ფრონტზე.

2 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ საჰაერო ბრძოლების დროს და აეროდრომებზე მოსპო მტრის 52 თვითმფრინავი. ჩვენ 28 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ბალტიის ზღვაში ჩვენმა ავიაციამ და სატორპედო კატარღებმა იერიში მიიტანეს მტრის ტრანსპორტებსა და სადარაჯო ხომალდზე. იერიშის შედეგად ერთი ტრანსპორტი და სადარაჯო ხომალდი ტორპედების მოხვედრით ჩაიძირნენ. ორი ტრანსპორტი ძლიერ დაზიანდა და ნაპირზე გაირიყა.

* * *

გერმანელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, როდესაც მათ სცადეს გადმოელახათ მდინარე დნეპრი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ფრონტის ერთერთ უბანზე. ღამით გერმანელების ქვეითმა ჯარმა სცადა მდინარის გადმოლახვა, მაგრამ დროულად შემჩნეულ იქნა ჩვენი მზვერავების მიერ. რაკეტებმა კაშკაშა შუქით გაანათეს ფაშისტების გადმოსასვლელი. ტყვიამფრქვევებისა და ნაღმტყორცნების ბატარეებმა ძლიერი სროლა ასტეხეს. ნაპირზე და მდინარეში გერმანელებმა ასობით გვამები დასტოვეს. განთიადისას ჩვენმა მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რომ დაბლა, ხუთი კილომეტრის მოშორებით, გერმანელი მესანგრეები კვლავ ამზადებდნენ გადმოსასვლელ საშუალებებს. საბჭოთა არტილერისტებმა სროლა ასტეხეს. ფაშისტებმა არტილერიის ძლიერ ცეცხლს ვერ გაუძლეს და კვლავ უკან დაიხიეს, ხოლო იმ ადგილას, სადაც უშედეგოდ სცადეს გადმოსვლა, 300-მდე მოკლული ჯარისკაცი დასტოვეს. მაიორ სედელნიკოვის პოლკი ტაციეფ იცავს თავის უბანს მდინარეზე. სამი დღის განმავლობაში ამხ. სედელნიკოვის მებრძოლებმა მოსპეს 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ბევრი სხვადასხვა საინჟინრო ქონება, ჩამოაგდეს 2 თვითმფრინავი და გაანადგურეს გერმანელების ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის საზღვაო ავიაციის ესკადრილიამ, რომელსაც კაპიტანი საფონოვი მეთაურობს, იერიში მიიტანა გერმანელთა თვითმფრინავების ჯგუფზე. მტერმა სცადა თავი აერიდებინა ბრძოლისათვის, მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა მას უკანდასახევი გზა გადაუჭრეს, კაპიტანმა საფონოვმა 50-70 მეტრის დისტანციიდან ოთხჯერ დააყარა ტყვიამფრქვევის ცეცხლი „ჰაინკელს“. ფაშისტთა თვითმფრინავი, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა, კლდეებზე დაიმსხვრა.

ანდა აი კიდევ მეორე მაგალითი: მე-11 საარმიო კორპუსის სარდლობამ 1941 წლის 22 ივლისს გამოსცა ბრძანება სათაურით: „ძირითადი დებულებანი ყოფილ საკოლმეურნეო საწარმოს დროებითი შემდგომი სამეურნეო გამოყენების შესახებ“, რომლის მე-19 პუნქტში ნათქვამია: „სოფელი, რომელშიც ცეცხლს წაუკიდებენ ძნებს და სხვ., გადამწვარი იქნება, მცხოვრებთა 50 პროცენტი დაიხვრიტება“.

ასე გამოიყურება ჰიტლერის არმია. და როდესაც ერთი ფაშისტი ჟურნალისტი ფარისევლური გაკვირვებით ამბობს: „მოსახლეობა ჩვენ ისე გვიყურებს, როგორც მძარცველებსო!“,—იგი ამით მხოლოდ თავის სახელს უწოდებს საგნებს. არა მარტო ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა, არა მარტო გერმანიის ტერიტორიის [illegible] ადგილებიდან [illegible] ბრძოლებს [illegible] ბრძოლებს [illegible] ბრძოლებს

ბრძოლის ნადავლი

ლენინგრადი (საკდესი). აი ეს ნაქები გერმანული ტანკები, რომლებიც „ლენინგრადში შევიდნენო“, როგორც ამას უკვე დიდი ხანია კვეხნით გაიძახის ბერლინის მთლად გაცრუპენტელებული რადიო. დიაღ, ისინი მართლაც „შემოვიდნენ“ ლენინგრადში. ეს დაცხრილულნი ჩვენი ქვემეხების მარჯვე სროლით მწყობრიდან გამოყვანილი ტანკები პირდაპირ ბრძოლის ველიდან ბუქსირით მოხვდნენ ლენინის ქალაქში, გამოფენაზე — „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ“. გამოფენა მოწყობილია წითელი არმიის კიროვის სახელობის სახლის მიერ.

მრავალია გამოფენის ექსპონატი — წითელი არმიის მიერ მტრისათვის წართმეული ნადავლი. აი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, საზენიტო ზარბაზანი, ნაღმმტყორცნები, ეტლიანი მოტოციკლი, ტყვიამფრქვევები, რადიოაპარატები, საავრნავიგაციო მოწყობილობა. ჩამოგდებული ფაშისტთა თვითმფრინავის ნამსხვრევების გვერდით არის 150-მილიმეტრიანი ჰაუბიცი.

ერთერთ დარბაზში არის კლიპერი — დოტი (საბერი ნავი), რომელშიც 4 გერმანელ ოფიცერს— ბალტიელების მიერ ჩამოგდებული ჰიდროთვითმფრინავის ეკიპაჟს სურდა დამალულიყო. ვიტრინებში გამოფენილია ფაშისტთა ჯარის ნაწილების დროშები.

კედლებთან დგას მანეკენები, რომლებსაც ჩაცმული აქვთ გერმანელ მტაცებელთა მუნდირები: კინგისეპის რაიონში კოლმეურნე ქალის მიერ ტყვედ წამოყვანილი მფრინავის კომბინეზონი, „სს“ დივიზიის — „მკვდარი თავის“ საარტილერიო პოლკის ეფრეიტორის მაზარა, რომელსაც ღილკილოზე დაკერებული აქვს გადაჯვარედინებულძვლებიანი თავისქალა. მაზარის პატრონმა, ისევე როგორც თითქმის მთელმა დივიზიამ, თავისი „მკვდარი თავი“ საბჭოთა ტყვეთ განგმირული, საბჭოთა მიწაზე დასტოვა.

აი ფაშისტი მძარცველი მეომრების „ნადავლი“, რომელიც მათთვის წართმეულ ტანკში იქნა აღმოჩენილი — ფეხსაცმელი, ბავშვის წინდები, ქსოვილი, მატყლის შარფები, რომლებზედაც ჯერ კიდევ ამჩნევია კაუნასის ფაბრიკის ეტიკეტები.

ფოტოგრაფიები, სურათები და პლაკატები ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირული ბრძოლის ეპიზოდებს ასახავენ. ამ განყოფილებაში არის დიდი სამამულო ომის გმირების პორტრეტები, ფოტოდოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ფრონტისა და ზურგის ურღვევ ერთიანობას, წითელი არმიის მჭიდრო კავშირს მთელ საბჭოთა ხალხთან.

საბჭოთა კავშირში

მთელს ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მზადება ახალგაზრდობის XXVII საერთაშორისო დღისათვის, რომელიც აღინიშნება კომკავშირელთა და ახალგაზრდათა მასობრივი კვირაობით სამშობლოს თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ. ამურის კომსომოლსკში ახალგაზრდობა 7 სექტემბერს მშენებლობაზე იმუშავებს. კოლმეურნეობებში მოეწყობა უხვი მოსავლის აღება. ჩკალოვის ოლქში კვირაობაში მონაწილეობას მიიღებს 220 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. სვერდლოვის ოლქის მთელი მუშა ახალგაზრდობა ამ დღეს თავის საწარმოებში იმუშავებს. 2.000 კომკავშირელი გავა ტორფის საბადოებზე და ქალაქისათვის სათბობის დასამზადებლად.

ახალგაზრდობის ინიციატივას მხურვალედ უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. ადგილებიდან მოდის ასობით ცნობა იმის შესახებ, რომ მილიონობით ადამიანები ემზადებიან კვირაობაში მონაწილეობის მისაღებად. მთელი გამომუშავებული ფული ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში იქნება შეტანილი.

* * *

ფაშისტებთან ცხარე ბრძოლის დროს მომქმედი არმიის ერთერთი ნაწილის სატვირთო მანქანის შოფერს ამხ. პრონინს ებრძანა მეწინავე პოზიციებზე მიეტანა საომარი მასალა. გზაში მანქანას თავს დაესხა მტრის ყუმბარმშენი. სატვირთო მანქანაზე სეტყვასავით დაყრილი ტყვიით ამხ. პრონინი დაჭრილ იქნა ორივე ფეხში, ხოლო მის გვერდით მჯდომი წითელარმიელი — ორივე ხელში. მაგრამ მანქანას რბენა არ შეუწყვეტია. პრონინი წინანდებურად საჭესთან იჯდა. მისი კარნახით მანქანას ფეხის ბერკეტებით მართავდა ხელებში დაჭრილი წითელარმიელი. ძვირფასი ტვირთი უვნებლად იქნა მიტანილი ბრძოლის ველზე. სტალინის საქალაქო ავტომოტოკლუბის კოლეგიუმმა, რომლის წევრიც ამხ. პრონინი იყო, მამაც მებრძოლს წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ იგი შეტანილია კლუბის საპატიო წევრთა სიაში.

* * *

მოსკოვის ახლომდებარე ქვანახშირის აუზის შახტებში და მუშათა უბნებში დაძაბული სამხედრო სწავლება მიმდინარეობს. მამაკაცებთან ერთად სამხედრო საქმეს ათასობით ქალიც ეუფლება. ტრესტ „სტალინოგორსკუგოლის“ № 13 შახტში მუშა-ქალები შაშხანის სროლასა და ყუმბარის ტყორცნას სწავლობენ. ტრესტ „ოკტიაბრუგოლის“ № 44 შახტში 900 მუშა-ქალი ემზადება იმისათვის, რომ სამედიცინო დობილები და სანიტარი რაზმელები გახდნენ. ყველა ისინი ფრონტის მეწინავე ხაზისაკენ მიისწრაფვიან. მარტო ექიმმა ლებედევმა ომის დღეებში დონის რაიონში 500-ზე მეტი მსხნიშნოსანი მოამზადა.

* * *

სსრკ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს 30 და 60-კაპიკიან ახალ საფოსტო მარკებს, რომლებიც მიძღვნილია ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომისადმი.

მზადდება აგრეთვე ორი სახის სპეციალური საფოსტო სამხედრო ბარათების გამოშვება მომქმედი არმიიდან გამოსაგზავნად და ფრონტზე გასაგზავნად. მათ ჩვეულებრივი საფოსტო ღია ბარათების სახე აქვთ. ეს ბარათები გაიყიდება ყველა საფოსტო საწარმოში და საველე საფოსტო კანტორაში. ბარათი ღირს 3 კაპიკი. ასეთ ბარათებს საფოსტო მარკები არა სჭირდება.

2 სექტემბერი (საკდესი).

ინგლისის ტრედუნიონთა კონგრესზე

ედინბურგი, 3 სექტემბერი (საკდესი). კონგრესის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა სიტრინმა. მან სთქვა, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ბრძოლა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. ახლა უკვე ინგლისი მარტო აღარ არის. სიტრინმა ჯეროვანად დააფასა ინგლისელი ხალხის მებრძოლური სული, დახმარება დომინიონებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ და ჩერჩილ-რუზველტის ერთობლივი დეკლარაცია.

სიტრინის სიტყვებს საბჭოთა კავშირის გმირული ბრძოლის, წითელი არმიის შესანიშნავი წინააღმდეგობისა და მის მებრძოლ მეთაურთა საუცხოო სამხედრო მომზადების შესახებ დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

აღნიშნა რა საბჭოთა კავშირისათვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენის საჭიროება, სიტრინმა განაგრძო: საბჭოთა კავშირი არის ქვეყანა, რომელმაც გამოიარა რევოლუცია, გამოსცადა შიმშილი, გადაიტანა ინტერვენცია. ეს არის ქვეყანა, რომელმაც უდიდეს სამრეწველო განვითარებას მიაღწია, რომელმაც მთელი თავისი მიღწევები მოახმარა ომს მტრის განადგურებისათვის. თავის განწირვა, რასაც საბჭოთა კავშირი სჩადის, შევა ისტორიაში. ეს არის ისეთი თავგანწირვა, რომელზედაც არც ერთი ქვეყანა არ დასთანხმდა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ რუსები ერთგულნი არიან თავიანთი ტრადიციებისა და არ მოერიდებიან არავითარ მსხვერპლს, რაც კი საჭიროა მტრის დამარცხებისათვის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ბრძოლა საბჭოთა კავშირისაგან მოითხოვს მთელი ძალების უდიდეს დაძაბვას. სიტრინმა გააფრთხილა დამსწრენი ოპტიმიზმისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ. „მთელი ჩვენი სიმპათიები,—სთქვა მან, — საბჭოთა ხალხის მხარეზე უნდა იყოს და ინგლისის ტრედუნიონებმა მაქსიმალური პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ სსრ კავშირს“.

სიტრინი მოკლედ შეჩერდა გენსაბჭოს წინადადებაზე ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ერთობლივი კომიტეტის შექმნის შესახებ. მან სასაცილოდ აიღო ზოგიერთი წრის მიერ გამოთქმული შიში იმის გამო, რომ ინგლისის ტრედუნიონები „კომუნისტებით აივსებიან“, თუ მათ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს სსრ კავშირის პროფკავშირებთან. მან განაცხადა, რომ გენსაბჭო ყოველგვარ ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ პოლიტიკურმა მოსაზრებებმა ხელი არ შეუშალონ საბჭოთა კავშირისათვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენას.

შეეხო რა ფინეთს, სიტრინმა მოაგონა დამსწრეთ შრომის ნაციონალური საბჭოს განცხადება, „რომელმაც სავსებით აშკარად განაცხადა, რომ ნაცისტებთან ფინეთის მთავრობის მაქინაციების შემდეგ ფინელმა ხალხმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ შესცვალოს თავისი მთავრობის პოლიტიკა“.

დასასრულ სიტრინმა გამოსთქვა რწმენა, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დომინიონთა ყოველმხრივი თანამშრომლობის პირობებში, შესაძლოდ გახდის გამარჯვების მიღწევას გაცილებით უფრო მალე, ვიდრე ბევრსა ჰგონია. სიტრინის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საკდესის კორესპონდენტის საუბარი ინგლისის ტრედუნიონთა საბჭოს თავმჯდომარე ჰიბსონთან

ედინბურგი, 3 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ტრედუნიონთა საბჭოს თავმჯდომარე ჰიბსონმა გუშინ საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „მიმდინარე კონგრესმა გამოარკვია ის ფაქტი, რომ ინგლისის მუშათა კლასს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყოველგვარი მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს სსრ კავშირს და ამიტომ იგი მზადაა უკიდურესად დაძაბოს თავისი ძალები. როგორც იმ სხდომაზე, რომელიც შესდგა 31 აგვისტოს კონგრესის მუშაობის დაწყებამდე, ისე თვით კონგრესზედაც მე გულთბილად მესალმებოდნენ, როდესაც მოვიხსენიებდი სსრ კავშირს, წითელი არმიის საგმირო საქმეებს და რუსი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას. ჩვენ შევუერთდებით რუს ხალხს ფაშისტ დამპყრობლისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში და არ შევსწყვეტთ ბრძოლას, სანამ მტერი საბოლოოდ არ იქნება განადგურებული. იმედი გვაქვს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ერთობლივი კომიტეტი შეძლებისდაგვარად დაიწყებს მუშაობას და უახლოეს დროში დაგვეხმარება შევიმუშაოთ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ რუსეთის უშუალო საჭიროებანი“.

კოლეგის გასროლის შემდეგ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). ლონდონში მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ კრიზისი საფრანგეთში უფრო და უფრო მატულობს. ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მთავრობის მიერ გამოცხადებულმა სასტიკმა ღონისძიებებმა კი არ ჩააქრო ეს მღელვარება, არამედ უფრო გააძლიერა.

გაზეთ „სანდი ექსპრესს“ მოჰყავს პარიზიდან ერთი ფრანგისაგან მიღებული წერილის ნაწყვეტი.

„საფრანგეთი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც იგი შესძლებს გაუსწორდეს თავის დამონებლებს. ეს დღე მალე დადგება. ჩვენ ფიცი მიგვაცემინეს ასეთი ლოზუნგით „ოჯახი, მუშაობა, საფრანგეთი“. მაგრამ ჩვენ სამუშაო არ მოგვეპოვება, რათა საშუალება გვქონდეს ოჯახი შევინახოთ. რაც შეეხება საფრანგეთს, იგი გასატიალებლად გადასცეს მძარცველთა ურდოებს“.

საფრანგეთში უფრო და უფრო ლაპარაკობენ აშკარა, ორგანიზებულ ბრძოლაზე ოკუპანტების წინააღმდეგ. გერმანელთა გარნიზონების განადგურებაზე.

ფრანგული გაზეთი „ჟურნალ დე დება“ კოლეტის თავდასხმის შემდეგ აცხადებდა: „ცალკეული ტრაგედიები გრანდიოზული ხანძრის წინამორბედია. საფრანგეთში უდიდესი აფეთქება მზადდება“.

მას შემდეგ, რაც კოლეტმა მოღალატე ლავალს „ესროლა, დარლანის აგენტებმა გესტაპოსთან სრული თანამეგობრობით ნამდვილი ტერორის რეჟიმი დაამყარეს საფრანგეთში.

საფრანგეთში ვითარება იმ ზომამდე გამწვავდა, რომ გერმანელთა გარნიზონებს აშინებთ მომავალი ამბები. საღამოობით ჯარისკაცები იშვიათად გამოდიან ქუჩებში. თუ გამოდიან, მხოლოდ დიდრონ ჯგუფებად. გერმანიის სარდლობა დამხმარე ძალებს მოითხოვს საფრანგეთში გამწვავებული მდგომარეობის გამო. გერმანელები მოელიან, რომ ხალხის აღშფოთება აუცილებლად იფეთქებს და სასწრაფოდ ასწავლიან და აიარაღებენ ფაშისტი ლავალისა და დეას ბანდის წევრ ძმა-ბიჭებს.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 2 სექტემბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა ინგლისში. მოწინააღმდეგის თვითმფრინავთა მცირე რიცხვი დაფრინავდა აღმოსავლეთ ინგლისის სანაპირო რაიონებში. ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ყუმბარები ჩამოჰყიარეს აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის ერთსა თუ ორ პუნქტში. ბომბარდირებას ერთგვარი ზიანი მოჰყვა, მაგრამ მოსახლეობაში რაიმე მნიშვნელოვანი მსხვერპლი არ გამოუწვევია.

2 სექტემბერს, ნაშუადღევს, ინგლისის სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის გემების ქარავანზე ნორვეგიის სანაპიროსთან. ორი ტორპედო ყველაზე დიდ გემს მოხვდა, რომელიც როგორც ფიქრობენ, მოსპობილია. ტორპედო მოხვდა აგრეთვე ერთერთ გემს, რომელიც ქარავანს იცავდა.

ერთმა „მფრინავი ციხის“ ტიპის ყუმბარმშენმა, რომელიც საზვერავად დაფრინავდა, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს, ყუმბარა დაუშინა გერმანიის ნავსადგურ ბრემენს. ინგლისის ავიაგამანადგურებლები დაფრინავდნენ ლა მანშზე და ჩრდილეთ საფრანგეთში და მთელი დღის განმავლობაში მტრის ერთი ავიაგამანადგურებელიც არ უნახავთ. ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა ერთი თვითმფრინავი.

„რასიული ნაკადისა“ და ღაქიების დევის შესახებ

ბერლინელმა ბატონებმა რუმიხეთს ყველაფერი წაართეს, რაც კი მას ეგადა,—ხორბალი და ნავთი, სურსათი და ფართო მოსმარების საქონელი. სამაგიეროდ რუმინეთმა მიიღო ჰიტლერის გერმანიის ტიპიური პროდუქტები — ერზაცები, ომი და რასიული თეორია გერმანიის ჯარების მიერ რუმინეთის ოკუპაციისთანავე იქ ჩამოსვლა იწყეს ათობით გერმანელმა სპეციალისტებმა რასიული თეორიის დარგში, რომლებიც კითხულობდნენ ლექციებს „არიული რასის უპირატესობისა“ და „გერმანელთა ბიოლოგიური თვისებების“ შესახებ.

ამ ბოლო დროს რუმინეთში უკვე გაჩნდნენ საკუთარი სპეციალისტები, რომლებიც რუმინული რასის თავისებურობებზე ალაპარაკდნენ. „უნივერსულის“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია დიდი „საძიებნიერო-კვლევითი“ სტატია, რომელიც ანალიზს უკეთებს „რუმინული რასის ცხოველუნარიანობას“ და ამტკიცებს, რომ „რუმინული რასის მომავალი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მისი რასიული რესურსების საშუალებითო“.

მაგრამ ამ „მეცნიერულ აღმოჩენებთან“ ერთად გამყიდველ უბადრუკ გაზეთში მოსჩანს სულ სხვა იდეები. ლაპარაკობენ რა „რუმინული რასის უპირატესობაზე“, რუმინელი ლაქიები, რა თქმა უნდა, ვერ ბედავენ შეეხონ თავის გერმანელ ბატონებს. სამაგიეროდ, იმედოვნებენ რა იმას, რომ ნადავლის გაყოფა „რასიული უპირატესობის“ მიხედვით მოხდება, ისინი მორიდებულობას არ იჩენენ თავისი მოკავშირეების—უნგრელების მიმართ. სტატიაში ნათქვამია:

„შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიმყოფებით სრულ ბიოლოგიურ ექსპანსიაში სხვა ხალხებთან შედარებით, რომლებიც გაიყინენ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ეთნიური უნგრული მოსახლეობა 13,4 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც ეთნიური რუმინული მოსახლეობა გაიზარდა 40,6 პროცენტით. აქედან ცხადია, რომ რუმინეთს სამჯერ უფრო მეტი ბიოლოგიური პოტენციალი აქვს, ვიდრე უნგრეთს“.

„უნივერსულის“ ამ მეცნიერულ ძიებათა აზრი კიდევ უფრო აშკარა ხდება, როდესაც იმავე სტატიაში ლაპარაკია, რომ „ყველაზე მდიდარი და ყველაზე წმინდა რასიული ნაკადი ტრანსილვანიაშიაო“. ხოლო ტრანსილვანია, როგორც ვიცით, ჰიტლერმა უნგრეთს მისცა, და ეს წარმოადგენს ჰიტლეთის რუმინელ და უნგრელ უბადრუკ მოკავშირეთა შორის მუდმივი შეხლა-შემოხლის ერთერთ მთავარ მიზეზს. მაშასადამე, „რასიული ნაკადის“ ძლიერება ახალი არგუმენტია ორი ლაქიის დავაში, რომელნიც კბილებაკაწკაწებულნი მოელიან ნასუფრალს ბატონისაგან.

(„იზვესტია“, საკუთარი ინფორმაცია).

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი).

დემონსტრაციები გერმანიაში სსრ კავშირთან ომის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტოს ცნობით, კარგად ინფორმირებული პირნი იუწყებიან, რომ ამასწინათ რამდენიმე ათასმა ქალმა შეაჩერა ბერლინიდან აღმოსავლეთის ფრონტზე სამხედრო მატარებლის გაგზავნა. ქალები მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როდესაც მათ დაემუქრნენ, ტყვიამფრქვევს გესვრითო. როგორც იუწყებიან, იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიაში დემონსტრაციები იმართება სსრ კავშირთან ომის წინააღმდეგ, უმაღლესმა სარდლობამ აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ გერმანელ ჯარისკაცებს აუკრძალა შინ წერილების გზავნა.

აჯანყება ღინცში

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ამასწინათ ლინცში (ზემო ავსტრია) დიდი აჯანყება მოხდა კონცერნ „გერმან გერინგის“ დიდს ფოლადსამსხმელო ქარხანაში. მუშებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება და შრომის პირობების გაუმჯობესება. მაგრამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილეს. მაშინ მუშებმა მიატოვეს ქარხანა, ქარხანაში დასტოვეს რამდენიმე კაცი, რომელთაც სამი ბრძმედი უნდა აეფეთქებინათ. მათ ორი ბრძმედი დაანგრიეს. ადგილობრივი დამცველი და მოიერიშეთა რაზმები პოლიციასთან ერთად მივიდნენ შემთხვევის ადგილას და სროლა დაუწყეს გაფიცულთ, რომლებმაც სროლითვე უპასუხეს. ქალაქის მამრობითი სქესის მოსახლეობის უმეტესობა გაფიცულთ შეუერთდა. ქუჩებში ბრძოლა ატყდა. პოლიცია ცდილობდა იერიში მიეტანა მუშების მიერ აგებულ ბარიკადებზე. ბევრი დაიხოცა. ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში. აჯანყება მხოლოდ მას შემდეგ ჩააქრეს, როდესაც ვენიდან სპეციალურად გაწვეული ჯარი მივიდა.

პრძოლა გერმანელი უამისოების ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ამერიკაში

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის პრესის ცნობით, მექსიკაში ენერგიული ზომების მიღებას აპირებენ გერმანელ ფაშისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ბრძოლისათვის. მექსიკის თვალსაჩინო სენატორთა ჯგუფმა გამოაცხადა, რომ იგი უახლოეს ხანში აპირებს შეიტანოს პარლამენტში კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია მექსიკაში გერმანელ ფაშისტთა ჯაშუშურ საქმიანობასთან ბრძოლის ღონისძიებანი.

22 სენატორმა და დეპუტატთა პალატის წევრმა, რომელთაც დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე კარილიო მეთაურობს, მანიფესტი გამოაქვეყნა, სადაც მექსიკელებს მოუწოდებენ: გაერთიანდით ფაშისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვისო.

ლათინური ამერიკის მუშათა კონფედერაციის ხელმძღვანელმა ლომბარდო ტოლედანომ გამოაცხადა, რომ იგი აპირებს გერმანული ფაშიზმის ლათინურ ამერიკაში შეპრასთან ბრძოლის ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა გადასცეს განსახილველად კონფედერაციის ყრილობას, რომელიც 26 სექტემბერს მექსიკოში შესდგება.

ბრაზილიაში 1 სექტემბრიდან აკრძალულ იქნა მთელი რიგი გაზეთები, რომლებიც უცხო ენებზე გამოდიოდა, მათ შორის 13 გაზეთი, რომლებიც გერმანულ ენაზე გამოდიოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბრაზილიის მთავრობამ დახურა გერმანული და იაპონური სკოლები ბრაზილიაში.

ბოლივიის მთავრობამ გამოაცხადა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების გამოწვევის შესახებ ყველა იმ ქვეყნიდან, რომელიც ოკუპირებულია გერმანიის მიერ.

ინგლისური ჟურნალი პოლონეთში წარმოებული პარეზიზანული ომის შესახებ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი მიძღვნილ სტატიაში სწერს: როგორც კი სტალინმა მოუწოდა დაეწყოთ პარტიზანული ომი ნაცისტთა არმიების წინააღმდეგ, მთელ პოლონეთში დაიწყო პარტიზანთა ჯგუფების შექმნა. მათი მოქმედება, უმთავრესად, მიმართულია გერმანელთა კომუნიკაციის, საწვავი მასალისა და სურსათის იმ მარაგის წინააღმდეგ, რომელიც გერმანელებმა თავიანთს ზურგში შეაქმნეს. მატოვებული დიდძალი სამხედრო მასალა, საომარი მასალა და იარაღი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ პარტიზანები საჭირო იარაღით უზრუნველყოფილ იქნან. ამჟამად პარტიზანთა რაზმებში ათიათასობით კაცი ითვლება.

დე ბრინონის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინდან იუწყება, დე ბრინონს პრესის წარმომადგენელთათვის განუცხადებია, საფრანგეთი ცდილობს მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიასა და იტალიასთან საბოლოო ზავის შეკვრის შესახებო.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, 2 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ავიაცია, ბერლინისა და ფრანკფურტის ბომბარდირების გარდა, თავს დაესხა აგრეთვე ქალაქებს, მათ შორის მანჰაიმს. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ოსტენდისა და დიუნკერკის ნავსადგურები. ინგლისის 9 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

თავდაცვის სახალხო ფონდი

საქართველოს მშრომელნი აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). ღღითიღღე მატულობს მშრომელთა დანაზოგების შეტანა თავდაცვის სახალხო ფონდში.

23 აგვისტოსათვის თავდაცვის ფონდში შეტანილი იყო 639.645 მანეთის ობლიგაციები და 137.705 მანეთი ფული.

გარდა ობლიგაციებისა და ფულისა, მშრომელები თავდაცვის სახალხო ფონდს აძლიერებენ სხვადასხვა პროდუქტებითა და ძვირფასი ნივთებით.

წითელი უბნის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 3-4 შრომადღის ღირებულება აგრეთვე 244 კილოგრამი ხორცი, ყველი და სხვ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—209 კილოგრამი ხორცი ორაგვისღელის კოლმეურნეებმა—350 კილოგრამი ხორცი, ხორეთის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—100 კილოგრამი ყველი და ნახევარი ტონა თხილი.

* * *

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელების მიერ თავდაცვის ფონდში შეტანილია ნაღდი ფული და გადარიცხვით 16.257 მანეთი, 329.295 მანეთის ობლიგაციები, ვერცხლის მანეთიანები 63 მანეთის, ოქროს ნივთები 23 გრამი, ვერცხლის ნივთები—2.707 გრამი. კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 11 ტონა ხორბალი, 15 სული ცხვარი, 2 მსხვილფეხა საქონელი. კოლმეურნეობის წევრებმა გადასწყვიტეს 1-2 შრომადღის ღირებულება ყოველთვიურად გადარიცხონ ფონდში.

განსაკუთრებით საყურადღებოა დაბა მანგლისის დიასახლის ქალთა აქტივობა. ტასო ავაქოვამ თავდაცვის ფონდში შეიტანა ვერცხლის ნივთები 176 გრამი, ვერცხლის ფულის ნიშნები 2 მანეთი და 50 კაპ. და ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე შეაქვს ათი მანეთი. ასეთსავე მაგალითს იძლევიან დიასახლისები ს. ჩუბინიძე, ე. ბობრიშევა, ს. შანბეკოვა და სხვები.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. სმოლნიკოვამ გადასწყვიტა ყოველთვიურად გადარიცხოს ფონდში ხუთი შრომადღის ღირებულება. მანვე შეიტანა 100 მანეთის ობლიგაციები

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამხ. ფ. მაქსიმოვმა, დარასკოვმა და ნ. კუკუშკინამ ფონდში ხუთ-ხუთი შრომადღის ღირებულება შეიტანეს.

სოფ. ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ანზელმ ეფშტაიმ შეიტანა ნაღდი ფული 500 მანეთი, ობლიგაციები—1.000 მანეთის და ყოველთვიურად 2 შრომადღის ღირებულება. ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა კუგელ ანშტმა—500 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად 2 შრომადღის ღირებულება.

გმირული შრომით დავეხმაროთ წითელ არმიას

აღგილობრივ რესურსებს მაქსიმალურად იყენებენ

თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. ვ. ბახტაძე ნიჭიერი და გამოცდილი სამეურნეო მუშაკია. იგი შესანიშნავად იცნობს დეპოს ყოველ კუნჭულს, ორთქლმავლის ყოველ ნაწილს. ამხ. ბახტაძეს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება ეკუთვნის, რომლებიც დიდ ეკონომიას აძლევენ დეპოს.

სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა მისი შემოქმედებითი აზრი, უნარი. წინათ ორთქლმავლის საცეცხლურის ფსკერიდან გამოღებულ ცეცხლგამძლე აგურს ჰყრიდნენ, როგორც უვარგისს ამხ. ბახტაძე ჩაუკვირდა ამ საკითხს. აღმოჩნდა, რომ „უვარგისი“ აგურების გამოყენება შეიძლება ორთქლმავლის საცეცხლურის კედლების ამოსაშენებლად ახლი ფართოდ იყენებენ ამხ. ბახტაძის წინადადებას, რომელიც წლიურად რამდენიმე ათიათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ამ დღეებში ამხ. ბახტაძის მეორე რაციონალიზატორული წინადადებაც განხორციელეს. ორთქლმავლის კვამლსაწვავი მილების გამოცვლისას ჰყრიდნენ წითელ სპილენძს. ამხ. ბახტაძის წინადადებით ასეთ სპილენძს აგროვებენ და მეორედ იყენებენ. ეს წინადადება 50 პროცენტით ამცირებს წითელი სპილენძის ხარჯს და დეპოს დიდძალ დანაზოგს აძლევს.

მაცვლეულის აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება

საქართველოს კოლმეურნეობებს 1 სექტემბრისათვის 340.728 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული ჰქონდათ აღებული. შარშან ამავე რიცხვისთვის აღებული იყო 336.357 ჰექტარი.

კომბაინით აღების გეგმა შესრულებულია 105,1 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის 85 პროცენტზე მეტი უკვე გალეწილია.

საქართველოს რაიონების უმეტესობამ დაამთავრა თავთავიანი მარცვლეულის აღება. მოსავლის აღება გაჩაღებულია მთიან რაიონებსა და დაშორებულ ზონებში, სადაც თავთავიანი კულტურები გაცილებით უფრო გვიან მწიფდება.

დღითი-დღე სულ ახალ-ახალი რაიონები იწყებენ სიმინდის მოსავლის აღებას. ახალციხის, ხაშურის, ბორჯომის, გურჯაანის, თბილისის, საგარეჯოს, ამბროლაურისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა აიღეს 5.661 ჰექტარი სიმინდი.

გაცილებით უფრო დიდი ტემპით, ვიდრე შარშან, მიმდინარეობს სარეველა ბალახებისგან ბაღების გაწმენდა. ბაღჩეულობა ბოლო ოთხ დღეში 3-4 ჯერ ირწყვა. ბაღჩეულობა ამ ოთხ დღეში 3-4 ჯერ ირწყვა. ბაღჩეულობა ამ ოთხ დღეში 3-4 ჯერ ირწყვა.

მყნობის ოსტატი

მახარაძის რაიონის ნატანების საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა ცეცხლაძემ 28 აგვისტოს დაამყნო 5.100 ცალი ციტრუსი. მყნობის დღიური ნორმა თვალსაჩინო გადამეტებით შეასრულა ამხ. ცეცხლაძემ ამ დღეს გამოიმუშავა 400 მანეთი, რაც მთლიანად შეიტანა თავდაცვის სახალხო ფონდში.

დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს

სამტრედია (საკდესი). წარმატებით მუშაობს წითელარმიელთა ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების დამნიშნავი კომისია. კომისია განცხადების მიღებისთანავე იხილავს და იმავე დღეს აძლევს ამმუშურავ პასუხს. დასმარება უკვე დაენიშნა წითელარმიელთა მრავალ ოჯახს. ალექსანდრე პაპაიას ოჯახს დახმარება დაენიშნა 200 მანეთის რაოდენობით, გიორგი კოტოვსკისას — 200 მანეთი, ბალატინო ხუციუას. გრიგოლ შარვაძის და აკაკი შენგელიას ოჯახებს—150 მანეთი თვითეულს.

სპორტი

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1547525, გაცემული ვასილ ეგნატ